ასული თეკლესია ბირადი ქონდა

Фонд № 287 Опись № 1 Ед. хр. № 174

287 Опись № 1 Ед. хр. № 174

ХРАНЕНИЯ

13.

დასკანირებულია
16.01.2025
13

1

„საბჭოთა ხელოვნება", 1987, №175

11/IX

«ეტიუდები კრიტიკული ნააზრევიდან»...

ჩვენ მოწმენი ვართ, ნოხუ-ში მოვლენებული მწერალი და მკვლევარი აკაკი თოფურია როგორი გულისყურით, სათუთად ფურცლავდა გამოჩენილი ქართველი მწერლის ლეო ქიაჩელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გადაუშლელ ფურცლებს, მწერლის ნაკვალევი სულ ფეხით მოიარა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებიც არ გამორჩენია, მისხალ-მისხალ სანთლით ნაპოვნი წიგნად შეკრა, შეკონა და მკითხველმა მიიღო სოლიდური წიგნი „ლეო ქიაჩელის ცხოვრება და მოღვაწეობა", რომლის გაცნობამ დაგვარწმუნა: ხშირად ასე გვგონია, ყველაფერი აღნუსხულია, მიკვლეული, საჩვენოდ არაფერია დარჩენილი და რამდენი რამ არის შესასწავლი, მიაგნები, საპოვნი (ალბათ, ასე იქნება დაუსრულებლივ) და რამდენი რამ, კერძოდ, დიდი ადამიანების ცხოვრებიდან ელის მკვლევარს, თავისებურად, ახლებურად წამკითხველს, გამომძიებურებულს, საქვეყნოდ წარმოჩენს!

ამის არა ერთი და ორი მაგალითი ვიცით. თუნდაც რუსთაველის, გურამიშვილის, ილიას, პუშკინის, ლერმონტოვის და სხვათა ცხოვრების გადაუშლელი ფურცლები რამდენმა პირველად გადაშალა, წაიკითხა, რამდენი რამ კვლავაც ელის წამკითხველს, პროპაგანდისტს. აკაკი თოფურიას „ლეო ქიაჩელის ცხოვრება და მოღვაწეობაც" ამის მეტყველი გამოხატულებაა, — რამდენი დაწერილა ამ გამოჩენილ მწერალზე, რამდენი კვლავაც მკვლევარის მოლოდინში ყოფილა. მომავალშიც რამდენი იტყვის თავის ახალ სიტყვას! აი, თუნდაც თავად აკაკი თოფურიას სოხუმში ელის სიურპრიზი — დოცენტ ვალერიან ზუხბაიას ბინაში საოჯახო არქივში ინახება ტარიელ გოლუას პროტოტიპის ფოტოსურათი, რომელიც კალამს კვლავაც ააღებინებს მკვლევარს, ლეო ქიაჩელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბევრი საინტერესო ფურცელი რომ გადაუშალა მკითხველს. — ყოველივე ამაზე უნებლიეთ ჩაგვფიქრა აკაკი თოფურიას ახალმა წიგნმა „ეტიუდები კრიტიკული ნააზრევიდან", რომელიც გამოსცა „საბჭოთა საქართველომ". წიგნი ეძღვნება მისი ავტორის დაბადების 60 წლისთავს და, ბუნებრივია, ერთგვარი ანგარიშიცაა მკითხველის წინაშე, თუმცა არასრული.

ქართული ლიტერატურის, მისი კვლევის, პროპაგანდის, კერძოდ, სწავლების თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბებაში დიდია მწერლისა და მკვლევარის აკაკი თოფურიას დამსახურება. „აკაკი თოფურია სამართლიანად ითვლება ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მეცნიერული კურსის ფუძემდებლად" (გ. ნატროშვილი). ეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, მწერლისა და მკვლევარის დამსახურებული აღიარებაა.

ქართულ მწერლობაში ნაომარი ჯარისკაცი მოვიდა პოეზიით. თან მოიტანა ცხოვრებისეული მდიდარი შთაბეჭდილებათა თავისებური ნათელი. მის გამოკვლევებს, ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებს როგორ ეტყობა სიტყვის მადლი. შესაძლოა, ამანაც უბიძგა ცნობილ მწერალსა და კულტურის მოამაგეს გიორგი ნატროშვილს ეტიუდების შესავალში გამოეხატა თავისი კმაყოფილება, რომ „...აკაკი თოფურიას „ეტიუდები" კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ინტელექტუალური დონე, აზროვნების კულტურა ბოლო ათეული წლების მანძილზე დიდად ამაღლდა... „ეტიუდების" ავტორი განსახილველი ნაწარმოების შინაარსის უბრალო მთხრობელი კი არ არის, შემოქმედი და მოაზროვნეა, სადაც ეს საჭიროა, დაუცხრომელი პოლემისტი და ჭეშმარიტების მაძიებელიც არის, ღრმად დაფიქრებული ლიტერატურისა და ხალხის ბედზე. მას აქვს აზრის შემოქმედებითი გაბედულება და მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალური ხელწერა".

„მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალური ხელწერა!".

მკვლევარისათვის ეს დიდი ალიარებაა, დიდი გამარჯვება და სრულიად დამსახურებულიც. ამაში უმალ დარწმუნდება მკითხველი, როგორც კი გადაშლის მის „ეტიუდებს". სტატიაში „ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი" როგორ დამაჯერებლად გაშუქებულია ქართული მწერლობის ამ ორი გიგანტის ურთიერთობის სათავეები, კერძოდ, ეკატერინე ჭავჭავაძის მე'მეობით კი არ ეზიარა ბარათაშვილის გენიის სიდიადეს პირველად ახალგაზრდა ილია, არამედ ადრეც იცნობდა მისი შემოქმედების ნიმუშებს. ავტორი შეჩვენებს საკითხს, რომლის გარშემო დიდხანს იყო აზრთა სხვადასხვაობა. მეტწილად ტრადიციულად განმტკიცებული იყო მოსაზრება, რომ ეკატერინეს მეშვეობით პირველად შეხვდა ერთმანეთს ორი დიდი პოეტი — ნიკოლოზი და ილია. მკვლევარს ქედი კი არ მოუხრია ავტორიტეტების წინაშე, ფაქტების ლოგიკამ ძიძგნა სხვა დასკვნამდე, რომელიც დღეს უკვე სადავო არაა, — ილია ადრეც იცნობდა ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ნიმუშებს. ასევე საინტერესოა ეტიუდები „თაობათა ბრძოლაში გრ. ორბელიანის ადგილის განსაზღვრისათვის", „უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მოვლენების უფრო ღრმად შესწავლისათვის" და სხვ. ავტორი კალამს იმისთვის როდი იღებს, რომ წერის ზოგადად ყველაფერზე. ამიტომაცაა, ყოველგვარი ზედმეტი შესავლის გარეშე საკითხს რომ შეეჩვდება, დაინტერესებული მკითხველიც ბოლომდე სულმოუთქმელად ჩაჰყვება ეტიუდს — აქ მწერალი და მკვლევარი ერთმანეთს მხარში უდგანან, ურთიერთ ავსებენ, ეტიუდები საინტერესოდ იკითხება; მერე როგორი სითბოა შიგ ჩაქსოვილი! „იოსებ ნონეშვილის ლირიკის ზოგიერთი ასპექტი" — ათიოდე წლის წინათ დაწერილი, იმდენ სითბოს შეიცავს, ეტიუდის ავტორს თითქოს გუშინმა უგრძნო, ასე ადრე ჩაჭრებოდა პოეტის სანთელი. ვფიქრობთ ასე გულით, სიყვარულით დაწერილი სიტყვები ნაკლებად ცივსებია შემოქმედს. მერე როგორ გჯერა მწერლისა და მკვლევარის: მისი ყოველი დებულება დასაბუთებულია, ყოველი შენიშვნაც — ძეთილმოსურნე. კარგ მთქმელს კარგი გამგონიც ჰყავს — პოეტის სუნთქვა, გულის ცემა, როგორ ჩინებულად ესმის ეტიუდის ავტორს, ბუნებრივია, ყოველი სიტყვა ამიტომაც ზის თავის ადგილზე, ასაზავს პოეტის ლირიკის დამახასიათებელ ნიუანსებს!

აღნიშნულ და სხვა ეტიუდებშიც, რომლებიც ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მწერლების შემოქმედებას (აროდიონ ცაგარეიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ალეო მირცხულავა, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე), მწერალი და მკვლევარი ავსებენ ერთმანეთს, — რამდენი ცხოვრებისეული დეტალი ოსტატურადაა ჩართული ეტიუდებში. კითხულობთ დიდი სიყვარულით დაწერილ გულითად სიტყვებს და გრძნობთ, მისი ავტორი დაკვირვებისა და განსჯის პროექციით მიდის ყოველ შემოქმედთან. ამიტომაც ყოველი ეტიუდი თავისებური ფერით წარმოაჩენს ამა თუ იმ შემოქმედს, უფრო სრულად ხატავს მის პორტრეტს, როგორც შემოქმედს, მოღვაწეს, მოქალაქეს.

ყოველივე თავისთავად სრულ წარმოდგენას გვიქმნის ეტიუდების ავტორზეც — მისხალ-მისხალ როგორი გულისყურით უგროვებია, როგორი სიყვარულით შეუკრავს წიგნად ქართული მწერლობისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და უანგარო სამსახურის ნატვრისთვალი! როგორც აღვნიშნეთ, მისი „ეტიუდები კრიტიკული ნააზრევიდან" ერთგვარი ანგარიშიცაა ქვეყნისა და ხალხის წინაშე დაბადების სამოცი წლისთავზე. ჩვენც ვიერთდებით მეგობრების სერთი მილოცვას — ახალ-ახალი შემოქმედებითი გამარჯვებანი თქვენ, ძვირფასო ბატონო აკაკი! გულითადი მადლობა ამ სიამოვნებისათვის, თქვენმა „ეტიუდებმა" რომ მოგვგანიჭა მკითხველებს.

ევგენი აჟუბარდია.

...ვენახთა საფინდარი

...ის ჩამოხ-
...კვეთში.
...ოცესიდან
...ხალებისა
... გაიზარდა
...აც აუცი-
...ბაზე მომ-
...ველი მე-
... ღვინოს
...54 ათასი
...ადში მო-
...ქტი.
...ეციალის-
...ის ახალი
...ძნობლად
...არმოების
...ბის ეფე-
...ოვუშვით
...ეკონომი-
...ტორების
...ა დანერ-
...ად, კერ-
...ები 3-42,
...შვებლად
... იწნეხე-
...ი წნეხე-
... გარდა
...საფილტ-
...ოიყენება
...ნერგვით
...ამაღლდა
...ბეს რე-
...ბაში 72
...ა, გატა-
...ომელთა
...რმის ხა-
...ვნიერო-
...თან შე-
...ე ახეთი
... დადგე-
...ებელია
...ვენებუ-
...ით. ამ

მიზნით ღვინოების სადეგუსტაციო ცენტრალურ კომისიას წარედგინა ჩვენებური შუშხუნა „აჩადარა“. კომისიამ რეკომენდაცია მისცა ახალ ღვინოს და ამას წინათ იშვა ისიც. პროდუქციის პირველი პარტია გაეგზავნა მომხმარებელს მიმდინარე წლის თებერვალში. პროდუქციის ამ სახეობის წარმოებისათვის სოხუმის სათაო ქარხანაში აშენდა სპეციალური საამქრო, სადაც დამონტაჟებულია სამამულო წარმოების ხაზი, რომელიც საათში 3.000 ლიტრს ჩამოასხამს. „აჩადარას“ სსრ კავშირის გამოგონებათა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა საავტორო მოწმობა მიანიჭა, იგი გამოგონებად აღიარეს სახელწოდებით: „შუშხუნა ღვინოების წარმოების ხერხი“.

ნახევრადტკბილი და შუშხუნა ღვინოები უნდა იქცეს მთავარ პროდუქციად „აფხაზღვინკომბინატში“. მათი წარმოება შესამჩნევად უნდა გაიზარდოს, ვინაიდან ისეთ ღვინოებზე, როგორიცაა „ფსოუ“, „აფსნი“, „ლიხნი“, „ჩხავერი“, „ანაკოპია“, მომხმარებელთა ძალზე დიდი მოთხოვნილებაა. მართალია, მათი წარმოება ჯერჯერობით ერთგვარად შეზღუდულია ნედლეულის არასაკმარ რაოდენობის გამო, მაგრამ დასახული პერსპექტივების სურათს თუ თვალს გადავავლებთ, უსათუოდ დაიბადება სოფლის მეურნეობის ტემპებისათვის ნაბიჯის აწყობის იდეა და სურვილი.

წინ დიდი პერსპექტივებია. 1985 წლისათვის დასახულია განხორციელდეს გუდაუთის ღვინის ქარხნის რეკონსტრუქცია. ამას გარდა გათვალისწინებულია აშენდეს ღვინის შესანახი ნაგებობა, რომელიც დაიტევს 600 ათას დეკალიტრს. აშენდება აგრეთვე სახემომსხმელო საამქრო, მზა პროდუქციის საწყობი, სამაცივრო საკნები და სხვ. ამ სამუშაოებისათვის გამოყოფილია 3,8 მილიონი მანეთი. 1985 წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარდება აგრეთვე სოხუმის სათაო ქარხანას. ღვინის საცავი, რომელიც ამჟამად გათვალისწინებულია 200 ათას დეკალიტრზე, მომავალში დაიტევს 400 ათას დეკალიტრს. აშენდება მინის ტარის საწყობიც, გარემონტდება საკონვეიერო ხაზი და სხვ. ასეთივე რეკონსტრუქცია ჩაუტარდება განთიადის ღვინის ქარხანას.

მთავარი საბრძოლო ამოცანა დღეისათვის გახლავთ წარმოებაში ხელით შრომის შემცირება. ერთი სიტყვით, ჩვენი მიზანია ხუთწლედის ბოლოს „აფხაზღვინკომბინატი“ მხარში ამოუდგეს ქვეყნის მოწინავე საწარმოებს.

ვ. ავიძბა,
„აფხაზღვინკომბინატის“ მთავარი ინჟინერი.

მექა პირობ

ცნობილია, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სოფლის მეურნეობის სრულ ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანის საქმეს.

„აფხაზსახკომსოფლტექნიკის“ სისტემის მექანიზატორებმა 1930 წელს ინდუსტრიული მეთოდით სიმინდი 900 ჰექტარზე აწარმოეს (გეგმა — 700 ჰექტარი), მათ შორის ოჩამჩირის რაიონში, გეგმით გათვალისწინებული 400 ჰექტარის ნაცვლად 700 ჰექტარზე, გალის რაიონში — 200 ჰექტარზე.

გასულ წელს ოჩამჩირის რაიონში პირველად 200 ჰექტარზე გამოიყენეს ჰერბიციდი ერადიკანი. შედეგად ნათესების დამუშავებიდან გამოირიცხა ხელის შრომა.

აფხაზეთში სულ ორგანიზებული იყო 11 მექანიზებული რგოლი, მათ შორის ოჩამჩირის რაიონში — 9, გალის რაიონში — 3. მუშაობა წარმოებდა ინდუსტრიული ტექნოლოგიის დაცვით. ოჩამჩირელმა მექანიზატორებმა 700 ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 32 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, ნაცვლად 24 ცენტნერისა. წარმოებული ცენტნერი სიმინდის თვითღირებულებამ დაგეგმილი 10 მანეთის ნაცვლად ფაქტიურად შეადგინა 5 მანეთი და 80 კაპიკი. სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ხ. კვარაცხელიას, ა. მალაზონიასა და ხ. ჩიჩუას რგოლები. მაგალითად, ხ. კვარაცხელიას რგოლმა სოფელ აძუბის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის 35 ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე 54 ცენტნერი მარცვალი აწარმოა, რისთვისაც რგოლი რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა, ხოლო მერგოლურს, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფონდიდან რიგგარეშე მსუბუქი ავტომანქანა „ჟიგული“ გამოეყო. ასევე მაღალ წარმატებას მიაღწია ალექსანდრე მალაზონიას რგოლმა მოქვის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობაში, რომელ-



...ეურნეობის პრობლემებს — ინდუსტრიული ტექნოლოგიით

...რხვენები. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საქვების დამზადება იმ ანგარიშით, რომ მთელი სულადობა უზრუნველყოფილი იქნება წელიწადნახევრის სამყოფი მარაგით.

კოლხიდმშენის მე-20 სამმართველო დიდ მუშაობას ეწევა მეურნეობაში ჰარბტენიანი მიწების დაშრობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის. 250 ჰექტარზე მიმდინარეობს მაგისტრალური და წყალშემკრები არხების გაყვანა, დახურული დრენაჟების მოწყობა, კულტ-ტექნიკური და სხვა აუცილებელი სამუშაოები, რომელთა შესრულება უდიდეს პერსპექტივებს უქმნის მეურნეობას სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი გადიდებისა და სრულყოფისათვის.

მაგრამ პრობლემები ჯერაც დიდის დანერგვის ასე გაჭიანურება, ან მართვის თანამედროვე სისტემების უგულებელყოფა, რომ ამდენ მოცდენებს არ ჰქონდეს ადგილი.

სერიოზულ გადასინჯვას მოითხოვს პლანტაციების მექანიზებული დამუშავების სისტემა და გამოყენებული იარაღებიც, და ეს განსაკუთრებით კოლხეთის ზონაში. მეტი უნდა ვიზრუნოთ სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური მეთოდების შემდგომ სრულყოფაზე. ჩვენს პირობებში მეტად შრომატევადი და ძვირადღირებულია შიდასამეურნეო დამშრობი სისტემის შამბნარისაგან წმენდის სამუშაოები. მისი მექანიზაციისა და ქიმიზაციის შესაძლებლობა გაგვაჩნია, მაგრამ წარმოებაში რატომღაც არ ინერგება.

მომავალზე ფიქრი და ზრუნვა უნდა ასულდგმულებდეს თითოეულ საბჭოთა ადამიანს. მომავალზე ოცნება და შემოქმედებითი წვა გვმართებს მინდვრის ტექნოლოგებს-აგრონომებს. ჩვე-